

რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
სარეგისტრაციო კოდი  
040.170.280.12.005.006.841

**საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის  
დადგენილება N52  
2004 წლის 11 ნოემბერი ქ. თბილისი**

**სპეციალური დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალისადმი  
მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ**

“არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის და უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის “თ” ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული “სპეციალური დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ”.
2. წინამდებარე დადგენილების პირველ პუნქტში განსაზღვრული წესი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**თავმჯდომარე**

**მ. ჯიბუტი**

**წესი**

**სპეციალიზებული დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალისადმი მინიმალური  
მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ**

**მუხლი 1.**

ეს წესი შემუშავებულია “არასახელმწიფო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მეორე პუნქტის „თ“ და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტების საფუძველზე და განსაზღვრავს მოთხოვნებს სპეციალიზებული დეპოზიტარების მინიმალური საწესდებო კაპიტალისადმი

**მუხლი 2.**

ამ წესში გამოყენებულია ტერმინები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობებით.

**მუხლი 3. მოთხოვნები საწესდებო კაპიტალისადმი**

3.1 სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, რომ ლიცენზიის მაძიებლის განადგებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდეს არანაკლებ 50 000 ლარს.

3.2 ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, სპეციალიზებული დეპოზიტარის განადგებული საწესდებო კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს პირველ პუნქტში განსაზღვრულ სიდიდეს

3.3 თუ საწესდებო კაპიტალი ნაკლებია ამ წესით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე, მმართველი კომპანია ვალდებულია ამის შესახებ 5 დღის ვადაში აცნობოს კომისიას

3.4 ინვესტორთა დაცვის მიზნით, კომისიას შეუძლია დააწესოს დამატებითი მოთხოვნები სპეციალიზებული დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალზე.